პოლიციის მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა

ანალიტიკური ანგარიში

მაისი, 2019

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია 3

1. საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების ზოგადი შეფასება 11

2. ურთიერთობა პოლიციასთან 14

3. პოლიციის მიმართ ინფორმირებულობა და ნდობა 24

3.1. საპოლიციო ინსტიტუტების შესახებ ინფორმირებულობა 24

3.2. პოლიციის მიმართ ნდობა 30

4. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შეფასება 36

5. მართლწესრიგის ოფიცრებთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე რესპონდენტების დამოკიდებულებები 43

დემოგრაფიული ბლოკი 53

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა პოლიციის მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულება. კვლევა ჩატარდა მასობრივი გამოკითხვის, კერძოდ, პირისპირი (face to face) ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

გამოკვლევამ მოიცვა ქ. თბილისის 10 ადმინისტრაციული რაიონის საარჩევნო ასაკის (18 წელი და ზემოთ) მოსახლეობა. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2500-მა რესპონდენტმა.

რეპრეზენტატული მონაცემების მისაღებად გამოკვლევისთვის გამოყენებულ იქნა მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა, წინასწარი სტრატიფიკაციით. კვლევის ფარგლებში **სტრატა** არის თბილისის ათი ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიულ-გეოგრაფიული დასახლებები, ხოლო **კლასტერი** - თითოეულ ადმინისტრაციულ რაიონში შემავალი საარჩევნო უბნები.

- პირველადი შერჩევის ერთეული (SSU): ქ. თბილისის ტერიტიაზე არსებული საარჩევნო უბანი.
- მეორადი შერჩევის ერთეული (SSU): ქ. თბილისში მცხოვრები ოჯახი.
- საბოლოო შერჩევის ერთეული (FSU): ქ. თბილისში მცხოვრები ოჯახის სრულწლოვანი (ანუ, 18 და უფროსი ასაკის) წევრი.

შერჩევის ფორმირების პირველ ეტაპზე გამოსაკვლევი ერთობლიობა (2500 რეპონდენტი) 10 გამოსაკითხ რაიონზე გადანაწილდა რაიონებში ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად, კვადრატული ფესვის განსაზღვრის მიხედვით. შერჩევის წერტილების (საარჩევნო უბნების) რაოდენობის განსაზღვრა მოხდა ოჯახებს შორის ბიჯის საშუალო ზომის (რომელიც შეადგენს 8–ს) გათვალისწინებით (კერძოდ, თითოეულ რაიონში ინტერვიუების რაოდენობის რვაზე გაყოფით). შესაბამისად, შერჩევის თითოეულ წერტილში ჩატარდა საშუალოდ 8 ინტერვიუ (იხ. ცხრილი#1).

ცხრილი #1

რაიონი	**ინტერვიუ**	**შერჩევის წერტილების რაოდენობა**	**ცდომილება (95%-იანი სანდოობით)**
გლდანი	313	39	5.5%
დიდუბე	220	27	6.6%
ვაკე	250	31	6.2%
ისანი	275	34	5.9%
კრწანისი	175	22	7.4%
მთაწმინდა	174	22	7.4%
ნაძალადევი	299	37	5.7%
საბურთალო	282	35	5.8%
სამგორი	315	39	5.5%
ჩუღურეთი	198	25	7.0%
სულ:	2500	357	2.0%

ოჯახების ამორჩევა შერჩევის წერტილებში

რაც შეეხება შერჩევის წერტილებში უშუალოდ ოჯახების ამორჩევას, აღნიშნული პროცესი განხორციელდა ე.წ. „შემთხვევითი ხეტიალის“ მეთოდით. თითოეულ ინტერვიუერს მიეცა შერჩევის წერტილის გეოგრაფიული/სივრცითი არეალი (საზღვრები), რომელზეც დატანილი იყო კონკრეტული ქუჩები და მისამართები. ამასთანავე, თითოეულ მათგანს განესაზღვრა **საწყისი მისამართი**. მსგავსმა მიდგომამ გამორიცხა ერთსა და იმავე შერჩევის წერტილში განმეორებითი ვიზიტის შესაძლებლობა.

კვლევაში მონაწილე ოჯახების მოძიება განხორციელდა ე.წ. ინტერვალის („ბიჯის, step) გამოყენებით, რომელიც განსხვავებულად განისაზღვრება:

- მრავალსართულიანი კორპუსებისათვის (ყოველი მე-7 ოჯახი იმ კორპუსებში, რომლებიც მაქსიმუმ 5 სართულიანია, ყოველი მე–9 ოჯახი იმ კორპუებში, სადაც სართულების რაოდენობაა 6–11–ის ფარგლებში, ან ყოველი მე–11 ოჯახი იმ კორპუსებში, რომელთა სართულების რაოდენობა მინიმუმ 12–ია); ამასთან, ერთ კორპუსში არ გამოიკითხება სამზე მეტი ოჯახი;
- კერძო დასახლებებისათვის და ე.წ. „იტალიური ეზოებისთვის“ (ყოველი მე-5 ოჯახი).

ამ ინტერვალის დაცვის ფუნქცია და მიზანი იყო ის, რომ მომხდარიყო გამოსაკითხი ოჯახების მაქსიმალური სივრცითი გაფანტულობა და საველე სამუშაოები განხორციელებულიყო საარჩევნო უბნის მთელ ტერიტორიაზე.

რესპონდენტის შერჩევა ოჯახებში

კვლევის ფარგლებში რესპონდენტის შერჩევა ოჯახებში მოხდა შემთხვევითი შერჩევის წესით - ე.წ. „კიშის ცხრილის“ (Kish Table) გამოყენებით. პროცესი მოიცავდა შემდგომ ეტაპებს: თავდაპირველად ინტერვიუერმა ოჯახის საკონტაქტო პირის მეშვეობით დაადგინა ოჯახის სრულწლოვანი წევრების (+18) სია: იწყებს ასაკით უფროსი ქალებიდან, ჩაინიშნავს მათ საოჯახო სტატუსებს (დედა, ცოლი, ქალიშვილი, რძალი და ა.შ.) საკონტაქტო პირთან მიმართებით და, აგრეთვე, მათ ასაკს. ოჯახის ქალი წევრების სიის განსაზღვრის შემდეგ, ინტერვიუერი გადადის ოჯახის მამაკაცი წევრების სიის შედგენაზე ზემოაღნიშნული წესის მიხედვით. ოჯახის სრულწლოვანი ქალი და მამაკაცი წევრების სიის შედგენის შემდეგ, კიშის ცხრილის გამოყენებით, შეირჩა რესპონდენტი, რომელთანაც უნდა ჩატარდეს ინტერვიუ. რესპონდენტთა ამორჩევის მსგავსმა დიზაინმა უზრუნველყო შერჩევის შემთხვევითობის მაქსიმალურ დაცვა და, საბოლოო ჯამში, რეპრეზენტატული მონაცემების მიღება.

კვლევის ფარგლებში ოჯახის წევრად განისაზღვა პირი, ვინც შესაძლოა, ოჯახის უფროსის ნათესაური ვერტიკალის (შვილი, შვილიშვილი, მშობელი, მეუღლე, დედმაშვილი) შემადგენელი წევრი არ არის, თუმცა ამ ოჯახში 12 თვის განმავლობაში მინიმუმ 182 დღე (ანუ დაახლოებით 6 თვე მაინც) ცხოვრობს.

ინტერვიუზე უარის აღრიცხვა და ოჯახების ჩანაცლება

საველე სამუშაოებისას გათვალისწინებულ იქნა, აგრეთვე, ისეთ შემთხვევა, როდესაც რესპონდენტთან ინტერვიუს ჩატარება შეუძლებელია. ასეთ დროს ინტერვიუერმა ჩაინიშნა მისამართი და განმეორებითი ვიზიტი განახორციელა. ორი უშედეგო ვიზიტის შემდეგ ჩანაცვლდა აღნიშნული მისამართი ახლით, „შემთხვევითი ხეტიალის“ პრინციპის მიდევნებით.

იმისათვის, რომ კვლევის ფარგლებში სრულყოფილი მონაცემების მიღების საშუალება ყოფილიყო, ინტერვიუერების მიერ აღირიცხა ყოველი შემთხვევა, ყველა მიზეზი, როდესაც ვერ მოხერხდა ოჯახში ინტერვიუს ჩატარება და საჭირო გახდა მისი ახლით ჩანაცვლება.

ინტერვიუერების/სუპერვაიზორების ტრენინგი და საველე სამუშაოები:

კითხვარისა და შერჩევის დიზაინის დასწავლის მიზნით, ანალიტიკოსის მიერ ჩატარდა სპეციალური ტრენინგი სუპერვაიზორებისა და ინტერვიუერებისათვის.

საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 5-მა სუპერვაიზორმა და დაახლოებით 65-მა ინტერვიუერმა. დაფარვის ზონები თანაბრად გადანაწილდა - ერთი სუპერვაიზორი კურირებდა თბილისის 2 რაიონის საველე სამუშაოს. იმისათვის, რომ მონაცმეების მოპოვება მომხდარიყო ელექტრონული საშუალებებით, კითხვარის ინტეგრირება მოხდა ე.წ. ODK სისტემაში.

სავალე სამუშაოებმა მოიცვა 20 მარტიდან 3 აპრილის პერიოდი.

იმისათვის, რომ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ყოფილიყო სრულყოფილი, საველე სამუშაოების პარალელურად განხორციელდა კონტროლი. საველე კონტროლი ჩაუტარდა შერჩევით ერთობლიობის 10%-ს (250 ინტერვიუ). საველე კონტროლმა მოიცვა ორი ძირითადი ასპექტი: სწორად შეარჩია თუ არა ინტერვიუერმა ოჯახი და რესპონდენტი; ამასთანავე, დაიცვა თუ არა კითხვარის შევსების ინსტრუქცია და ადეკვატურად განიხილა თუ არა კითხვების შინაარსი რესპონდენტებთან.

მონაცემთა სტატისტიკური მოწესრიგება და ანალიზი:

საველე სამუშაოების მიმდინარეობისას სტატისტიკოსის მიერ შეიქმნა მონაცემთა ბადე მონაცემთა ანალიზის პროგრამის - SPSS-ის გამოყენებით. მოხდა კითხვარში არსებული თითოეული ღია შეკთხვის პასუხების კოდირება, მონაცემთა ე.წ. „გაწმენდა“ და შეწონვა.

იმისათვის რომ კვლევის ფარგლებში სხვადასხვა ასპექტის გამოკვეთა და ორ საკითხს შორის კავშირების დადგენა ყოფილიყო შესაძლებელი, მიღებული მონაცემების გაანალიზება მოხდა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით: ერთგანზომილებიანი სიხშირული განაწილების, კროსტაბულაციების, კორელაციის, რეგრესიის და ფაქტორული ანალიზის მეთოდების მეშვეობით. შესაბამისად, ანალიზის ეტაპზე გამოყენებულ იქნა მონაცემთა ანალიზის როგორც უნივარიაციული, ისე ბივარიაციული და მულტივარიაციული მეთოდები.

ძირითადი მიგნებები

თბილისელებმა განსხვავებულად შეაფასეს საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების საკითხი, ზოგადად, თბილისში და, კონკრეტულად, მათ საცხოვრებელ უბნებში: სულ მცირე, ყოველი მესამე რესპონდენტი თვლის, რომ ქ. თბილისში საცხოვრებელი გარემო საშიშროების შემცველია; თუმცა, როდესაც საკითხი ეხება საკუთარი უბნის უსაფრხოებას, აქ სკეპტიკურად განწყობილთა რაოდენობა მხოლოდ 18%–ია, ხოლო უმრავლესობა (58%) თვლის, რომ დაცულად გრძნობს თავს. როგორ ჩანს, ინფორმაცია კრიმინოგენული შემთხვევების შესახებ ქ. თბილისში ზოგადი სურათის შეფასებას აუარესებს, ხოლო საკუთარი უბანში ცხოვრების უშუალო გამოცდილება – საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების აღქმას აძლიერებს.

საკუთარი საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების განცდა უფრო გამოკვეთილი აქვთ თბილისის პერიფერიული რაიონების (გლდანი–ნაძალადევი, ისანი–სამგორი) მაცხოვრებლებს, ცენტრალური რაიონების (ვაკე–საბურთალო, მთაწმინდა–კრწანისი0 მაცხოვრებლებთან შედარებით.

რეპონდენტებმა ყველაზე ხშირად დასახელეს ქურდობა/ყაჩაღობის პრობლემა, რომელიც ზიანს აყენებს საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოებას. რამდენადმე გამოიკვეთა ნარკოტიკების მოხმარების (მარიხუანას ჩათვლით) და ქუჩური გარჩევების (ჩხუბის) პრობლემები.

გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (პრაქტიკულად, ყოველი მეორე) მიუთითებს კრიმინოგენული ვითარების გაუარესების დინამიკაზე ქ. თბილისში, ბოლო 1 წლის განმავლობაში.

პოლიციასთან არანაირი შეხება (რაიმე – კანონმდარღვევის, დაზარალებულის ან მოწმის – სტატუსით) არ ჰქონია რესპონდენტთა ან მათი ოჯახის წევრთა გამოკვეთილ უმრავლესობას - 72.1%-ს; პოლიციასთან მისი ან მისი ოჯახის წევრების შეხებას ადასტურებს 27.9%. ამასთან, პოლიციასთან შემხებლობის სიხშირე, ბოლო 12 თვის განმავლობაში, ძირითადად 1 შემთხვევით შემოიფარგლება.

იმ რესპონდენტების უმრავლესობას (65.8%), რომლებიც პოლიციასთან ურთიერთობას (მისი ან მისი ოჯახის წევრის) ადასტურებენ, პოლიციასთან შეხება კანონდამრღვევის სტატუსით ჰქონია. შემდეგ, დაზარალებულის სტატუსით (31%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – მოწმის სტატუსით - 5.3%.

კანონდამრღვევის სტატუსის ფარგლებში ყველაზე მეტად ჭარბობს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა (75.0%). დაზარალებულის შემთხვევაში ყველაზე ხშირია რაიმე ნივთის

დაკარგვა (20.2%), ხოლო მოწმის შემთხვევაში – ავტოსაგზაო შემთხვევას და სამეზობლო კონფლიქტი (19% თითოეული).

პოლიციისთან რაიმე სახით შემხებლობაში მყოფი რესპონდენტების გამოკვეთილი უმრავლესობა (78.8%) მიუთითებს პოლიციის მხრიდან ადეკვატური ზომების მიღების შესახებ, რომელთა შორისაც გამოიყო: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენა, პირის გამოკითხვა, პირის მოწვევა პოლიციის განყოფილებაში, ჯარიმა მოძრაობის წესების დარღვევისთვის და სხვ. ამასთან, რესპონდენტების უმრავლესობა მიუთითებს პოლიციის მოქმედებით კმაყოფილების შესახებ (Mean = 3.45, შეფასების 5 ქულიან სკალაზე).

პოლიციის მოქმედებით კმაყოფილებას აჩვენებს, ასევე, რესპონდენტთა უმრავლესობის (56%) მზაობა, მიმართონ პოლიციას მომავალში რაიმე სახის სადავო საკითხთან დაკავშირებით (Mean = 3.35, Median = 4, შეფასების 4 ქულიან სკალაზე).

23 განსხვავებული დევიაციური შემთხვევიდან, რესპონდეტებმა გამოყვეს ისინი, რომლებიც, მათი აზრით, აუცილებლად იმახურებს პოლიციისადმი მიმართვას; ესენია: ავტომობილის ქურდობა, ბინის გაქურდვა, ოფისის გაქურდვა, მაღაზიის გაქურდვა, ქუჩაში ყაჩაღობა, ქუჩაში თავდასხმა, სექსუალური ძალადობის შემთხვევა, ორგანიზებული დანაშაული. მეორე მხრივ, ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა (ზოგჯერ, უმრავლესობაც) ვერ ხედავს პოლიციისადმი მიმართვის აუცილებლობას. მაგალითად, ოჯახური კონფლიქტის შემთხვევაში მხოლოდ 53.4% მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა მიმართონ პოლიციას; სამეზობლო კონფლიქტის შემთხვევაში უფრო დიდი ნაწილი (39.1%) მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი პოლიციისადმი მიმართვა. კიდევ უფრო მეტი ლოიალობა გამოიჩინეს რესპონდენტებმა ისეთ ანტისოციალური მოქმედებებთან მიმართებით, როგორებიცაა, მაგალითად, ქუჩაში ნაგვის დაყრა და ხმაური კვების ობიექტებიდან: რესპონდენტთა გამოკვთილ უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ მსგავსი დევიაციები იმსახურებს პოლიციისადმი მიმართვას.

რესპონდენტებმა გამოყვეს ის მიზეზები, რომელთა გამოც მოქალაქეები თავს არიდებენ, რომ მიმართონ პოლიციას სხვადასხვა დანაშაულის დროს: წამყვანი მიზეზია პოლიციისადმი უნდობლობა. დასახელდა, აგრეთვე, შემდეგი მიზეზები: პოლიციის არაეფექტურობის მოლოდინი, მოქალაქეობრივი გულგრილობა, მოსალოდნელი ქმედებებისგან (დაკითხვა, სასამართლოზე მოწმედ გამოსვლა) თავის არიდება“ და დამნაშავის მიმართ შიში.

რესპონდენტბმა პოლიციის მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ დაასახელეს ტელევიზია (47.8%); მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდა სოციალური ქსელებიც (25.3%). დასახელდა, აგრეთვე, არაფორმალური წყაროები (14.3%) და საინფორმაციო საშუალებების ვებ-გვერდები (ონლაინ ტელევიზიების ჩათვლით) (8.4%).

რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ უარყოფით ინფორმაციას იღებს პოლიციის მუშაობის შესახებ (Mean = 2.44, შეფასების 4 ქულიან სკალაზე; Median = 2).

ტესტური შეკითხვების საფუძველზე გამოვლინდა ის თეთრი ლაქები (ჩავარდნები), რაც თბილისელების ინფორმირებულობას აქვს საპატრულო და კრიმინალური პოლიციების კომპეტენციებთან დაკავშირებით. კერძოდ:

- გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (85.2%) მიიჩნევს, რომ გზებზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეზღუდვის ან შეწყვეტის ორგანიზება მხოლოდ საპატრულო პოლიციის საქმიანობაა; თუმცა, რეალურად ეს კომპონენტი კრიმინალური პოლიციის კომპეტენციაშიც შედის;
- გამოკითხულთა უმრავლესობის (61.7%) აზრით, დანაშაულის გამოძიება და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება კრიმინალური პოლიციის კომპეტენციაა, თუმცა, რეალურად, ამას ორივე ინსტიტუტი ასრულებს;
- თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ტრეფიკინგის, ნარკომანიისა და საერთაშორისო ნარკობიზნესის, იარაღით, უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი ყოველი მეორე რესპონდენტისთვის მხოლოდ კრიმინალურ პოლიციასთან ასოცირდება; თუმცა, რეალურად, ამ ტიპის საქმიანობას მხოლოდ საპატრულო პოლიცია ახორციელებს;
- ის, რომ დანაშაულისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა-აღკვეთასა და პრევენციაზე ორივე ინსტიტუტი მუშაობს, სწორად შეაფასა რესპონდენტების მხოლოდ მესამედმა (34.7%).
- გამოკითხულთა მხოლოდ მესამედმა (34.5%) უპასუხა სწორად, როდესაც არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის აღმკვეთი და პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება მიაკუთვნა მხოლოდ კრიმინალური პოლიციის კომპეტენციას.

არასრულფასოვანი ინფორმირებულობა გამოამჟღავნეს რესპონდენტებმა იმასთან დაკავშირებითაც, თუ ვის უნდა მიმართონ თავად პოლიციის მხრიდან გადაცდომის შემთხვევაში: მხოლოდ მესამედი (33.8%) მიიჩნევს სწორად, რომ მსგავს სიტუაციაში ადრესატი უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

რესპონდენტები საკუთარ თავს არასათანადოდ ინფორმირებულად მიიჩნევენ შინაგან საქმეთა სამინიტროში ბოლო პერიოდში მიმდინარე რფორმების შესახებ: ამა თუ იმ ხარისხით არაინფორმირებულობაზე მიუთითებს გამოკვეთილი უმრავლესობა (70%–მდე). ამასვე ადასტურებს ცენტრალური ტენდენციის საზომები (Mean = 1.93, ხოლო Median = 2, შეფასების 4 ქულიან სკალაზე). ამასთან, რესპონდენტებმა ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს სამი რეფორმა აღნიშნულ სტრუქტურაში: გამომძიებელთა გადამზადება, ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის შექმნა და ახალგაზრდა კადრების მიღება პოლიციის სტრუქტურაში.

თბილისელთა უმრავლესობა (55%) პოლიციელის დანახვისას თავს დაცულად გრძნობს. თითქმის ყოველი მესამე (32.1%) აღნიშნავს – „გულგრილი ვარ“; პოლიციელის დანახვისას შიშის გრძნობა ეუფლება რესპონდენტთა ძალზე მცირე რაოდენობას (1.6%).

პოლიციის აღწერისას რესპონდენტებმა ძირითადად გამოიყენეს დადებითი კონოტაციის მატარებელი აღმნიშვნელები, როგორებიცაა: „პროფესიონალიზმი“ (დასახელებული შემთხვევების 23.1%), „უსაფრთხოება“ (19.5%) „კანონი“ (12.3%), „კეთილგანწყობა“ (12%) და ა.შ. თუმცა, დასახელდა, აგრეთვე, რამდენიმე უარყოფითი კონოტაციის შემცველი ეპითეტიც: „არაკომპეტენტურობა“ (5.6%), „უხეშობა (5%), გულგრილობა (4.4%) და ა.შ.

სხვადასხვა სამართალდამცავი ინსტიტუტის მიმართ რესპონდენტთა ნდობის ხარისხი ასეთია:
ა) ნდობის დადებით ველში (Mean >3-ზე, შეფასების 5 ქულიან სკალაზე) მოხვდა შემდეგი ინსტიტუტები: საპატრულო პოლიცია/დეტექტივ-გამომძიებელი (Mean=3.42), უბნის ინსპექტორი (Mean =3.33), კრიმინალური პოლიცია (Mean= 3.20), მართლწესრიგის ოფიცერი (Mean= 3.42).

ბ) ნდობის უარყოფით ველში (Mean <3-ზე) მოხვდა პროკურატურა (Mean =2.75) და ყველა ინსტანციის სასამართლო - რაიონული (Mean= 2.75), საქალაქო (Mean= 2.86), სააპელაციო (Mean= 2.88), საკონტიტუციო (Mean= 2.90) და უზენაესი (Mean= 2.92).

პოლიციციის თანამშრომლად ყოფნის პრესტჟულობის საკითხთან მიმართებით რესპონდენტები ვერ იხრებიან მკვეთრად დადებითი ან მკვეთრად უარყოფითი პოზიციისკენ (წამყვანია (40.2%) პოზიცია - „თანაბრად პრესტიჟულიც და არაპრესტიჟულიც). თუმცა, იმათი რაოდენობა, ვინც პოლიციის თანამშრომლობას პრესტიჟულად მიიჩნევს (34.5%), აღემატება იმ რესპონდენტების რაოდენობას, ვისაც ეს არაპრესტიჟულად მიაჩნია (24.1%).

რესპონდენტთა პოზიციები გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ისურვებდნენ ისინი მათი ოჯახის წევრის ყოფნას პოლიციის თანამშრომლად: რესპონდენტთა ერთი ნაწილი (47.3%) ოჯახის წევრის პოლიციელობას არ ისურვებდა, ხოლო რესპონდენტების მეორე ნაწილი (45.5%) აცხადებს, რომ ისურვებდა. არმსურველებმა ძირითად მიზეზებად დაასახელეს: სიცოცხლისთვის სარისკო სამუშაო (46.3%%), მძიმე სამუშაო რეჟიმი (33.7%), პოლიციის მიმართ დაკარგული ნდობა (33%) და სხვ.

რესპონდენტები, ძირითადად, ნეიტრალურად („არც დადებთად, არც უარყოფითად“) აფასებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში (Mean = 3.01, შეფასების 5 ქულიან სკალაზე). მეორე მხრივ, შსს-ს ერთწლიანი საქმიანობის დადებითად შემფასებელთა ხვედრითი წილი (26.1%) მცირედით აჭარბებს უარყოფითად შემფასებელთა წილს (21.9%).

თბილისელების 28.6%–ს სმენია მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ, ხოლო გამოკვეთილ უმრავლესობას (71.2%) - არა. უმრავლესობა (მათგან, ვინც ინფორმირებულია) ინფორმაციას იღებს ტელევიზიის (59.8%) საშუალებით.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტები ძირითადად სწორად განსაზღვრავენ ამ ინსტიტუტის მთავარ მოვალეობებს: ყოველი მეორე

მიიჩნევს, რომ მართლწესრიგის ოფიცრის მთავარი ფუნქციაა დანაშაულის თავიდან აცილება/პრევენცია; ხოლო მნიშვნელოვანი რაოდენობა (36.7%) ფიქრობს, რომ მთავარი მოვალეობაა სწრაფი რეაგირება დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში.

გამოკითხულთა უმრავლესობამ (50%-ზე მეტმა) ძალზე მნიშვნელოვნად შეაფასა მართლწესრიგი ოფიცრის მიერ შემდეგ საკითხებზე მუშაობა: ბავშვებთან (მათ შორის, ქუჩის და რთული სოციალური ქცევის ბავშვებთან) მუშაობა, არაცენტრალური ქუჩების გაკონტროლება, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაული, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, ნარკოტიკების საწინააღმდეგო კამპანია, სექსუალური ძალადობა, ქუჩაში თავდასხმა.

ყველაზე მეტი მზაობა რესპონდეტების მხრიდან დაუკავშირდა მართლწესრიგის ოფიცრების მიერ ორგანიზებულ ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობას, რომლებიც შეეხება: გარემოს დაბიძნურებას, ცხოველებზე ძალადობის აღმოფხვრას, ახალგაზრდებში კულტურისადმი, წიგნიერებისადმი მისწრაფების გაზრდას და სხვ.

თბლისელების გამოკვეთილი უმრავლესობის (78.2%) აზრით, „მართლწესრიგის ოფიცრის“ ინსტიტუტის შემოღება ხელს შეუწყობს უსაფრთხოების დაცვას ქალაქში; სკეპტიკოსთა რაოდენობა 10%-ს არ აღემატება.

მართლწესრიგის ოფიცრებთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე რესპონდენტების დამოკიდებულებებისა და შეფასებების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვას მნიშვნელოვნად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ ეს ინსტიტუტი უსაფრთხოების დაცვას ხელს შეუწყობს. ამ სამიზნე ჯგუფის რესპონდენტები სწორ ინფორმაციას ფლობენ ოფიცრების მუშობის სპეციფიკის შესახებ და სხვადასხვა პროექტსა თუ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილსაც გამოთქვამენ. უმეტესობა მათგანს უშუალო კავშირი ჰქონია მართლწესრიგის ოფიცრებთან განსხვავებულ საკითხთან (სამეზობლო კონფლიქტი, ქონების დაცვა და სხვ.) დაკავშირებით და გაწეული დახმარებით, ოფიცრების მუშაობით კმაყოფილია. პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად, რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (48%) მაინც არ ისურვებდა, რომ მათი ოჯახის წევრი გახდეს ამ მართლწესრიგის ოფიცერი ნაწილი. ეს მიუთითებს, რომ მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის მიმართ დადებითი დამოკიდებულება და მათი მუშაობის პოზიტიური შეფასება ამ პროფესიაში „შესვლის“ საკმარისი პირობა არ არის.

1. საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების ზოგადი შეფასება

კვლევის ფარგლებში შეფასდა უსაფრთხოების მდგომარეობა ქალაქ თბილისში. კვლევისთვის საინტერესო იყო, თუ როგორ აფასებენ თბილისელები როგორც მთლიანად ქალაქის - მაკრო დონეზე, ისე უშუალოდ მათი საცხოვრებელი გარემოს/უბნის - მიკრო დონეზე არსებულ მდგომარეობას უსაფრთხოების მხრივ. აგრეთვე, მნიშვნელოვანი იყო მომხდარიყო იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც, უსაფრთხოების დაცვის კუთხით, არსებობს ქალაქში.

შეკითხვაზე, თუ ***რამდენად უსაფრთხოა/საშიშია საცხოვრებელი გარემო ქ. თბილისში კრიმინოგენული თვალსაზრისით,*** თბილესელების უფრო დიდი ნაწილის – 36%–ის აზრით, გარემო თანაბრად უსაფრთხოც არის და საშიშიც. ჯამში 34% ფიქრობს, რომ საცხოვრებელი გარემო თბილისში ძალზე საშიშია, ან უფრო საშიშია, ვიდრე არა, ხოლო 28% აზრით, უფრო უსაფრთხოა, ან სრულიად უსაფრთხოა (იხ.დიაგრამა#1):

დიაგრამა #1



განსხვავებული შედეგები გამოიკვეთა მიკრო დონეზე, შეკითხვაზე, რომელიც ეხება უააფრთხოების დაცულობას ***უშუალოდ თბილისელების საცხოვრებელ გარემოში/უბანში,*** თბილისელების უმეტესობა - 58% სრულიად დაცულად, ან უფრო დაცულად გრძნობს თავს, 23% – თანაბრად დაცულად და დაუცველად, ხოლო 18% უფრო დაუცველად, ან სრულიად დაუცველად. როგორც შედეგებიდან ჩანს, თბილისის მოსახლეობა უფრო დრამატულად

აფასებს კრიმინოგენულ ვითარებას ზოგადად მთლიანი ქალაქის მასშტაბით (34%), ვიდრე საკუთარი საცხოვრებელი გარემოს/უბნის დონეზე (18%)

საინტერესოა, აღნიშნულ საკითხი განვიხილოთ თბილისის 5 **გაერთიანებული რაიონის** მიხედვით: მონაცემები აჩვენებს, რომ თითოეულ რაიონში რესპონდენტთა უმრავლესობა თავს დაცულად გრძნობს. თუმცა, დაცულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გლდანი-ნაძალადევის რაიონის შემთხვევაში ფიქსირდება - 64.3% ხოლო შედარებით დაბალი - მთაწმინდა-კრწანისის (51.1%) და ვაკე–საბურთალოს (53.4%) რაიონებში. აღსანიშნავია, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონში თითქმის ყოველი მეოთხე რესპონდენტი (24%) თავს დაუცველად გრძნობს (რაც რაიონულ ჭრილში პასუხის ამ კატეგორიაში ყველაზე მღალი პროცენტული მაჩვენებელია) (იხ. დიაგრამა #2):

დიაგრამა #2



რესპონდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ ის ***პრობლემები, რომლებიც ზიანს აყენებენ მათი უბნის მაცხოვრებლების უსაფრთხოებას.*** რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელდა შემდეგი პრობლემები: ქურდობა/ყაჩაღობა (23.1%), ნარკოტიკების (მარიხუანას ჩათვლით) მოხმარება (10.5%), ხმაური (2.5%), ნასვამი ადამიანები (2.1%). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 27.3% აზრით, მათი საცხოვრებელ უბანში უსაფრთხოება დაცულია და ზიანს არაფერი აყენებს (იხ.დიაგრამა #3).

დიაგრამა #3



კვლევის ფარგლებში შეფასდა ***ქ. თბილისში კრიმინოგენული ვითარების დინამიკა ბოლო 1 წლის განმავლობაში.*** შეფასება მოხდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 ქულა ნიშნავს „ძალზე გაუარესდა“, ხოლო 5 ქულა – „ძალზე გაუმჯობესდა“ (სკალის ნეიტრალური პუნქტია 3 ქულა). როგორც შედეგებიდან ჩანს, გამოკითხულთა უმრავლესობისთვის - 59.7% – კრიმინოგენული ვითარება ძალზე (17.6%), ან მეტ-ნაკლებად (42.1%) გაუარესდა თბილისში. დაახლოებით მესამედის აზრით, ვითარება იგივეა, რაც ერთი წლის წინ იყო - 29.6%, მხოლოდ მცირე ნაწილი (8%) მიიჩნევს, რომ ძალზე (1%) ან მეტ-ნაკლებად (7%) გაუმჯობესდა ვითარება კრიმინოგენური თვალსაზრისით (იხ. დიაგრამა #4):

დიაგრამა #4



2. ურთიერთობა პოლიციასთან

პოლიციასთან ურთიერთობის შესაფასებლად, საწყის ეტაპზე, შესწავლილ იქნა პოლიციასთან კონტაქტი – გაანალიზდა, ***ჰქონდა თუ არა რესპონდენტს ან მისი ოჯახის წევრს, ბოლო 12 თვის განმავლობაში, რაიმე სახის შეხება (როგორც დაზარალებულს, კანონდამრღვევს ან მოწმეს) პოლიციასთან***, სულერთია, იქნებოდა ეს საპატრულო პოლიცია, კრიმინალური პოლიცია, უბნის ინსპექტორი, თუ მართლწესრიგის ოფიცერი.

მონაცემები გაანალიზდა ორ დონეზე - რესპონდენტის და მისი ოჯახის წევრ(ებ)ის გამოცდილების საფუძველზე. **რესპონდენტების** 81.0%-მა აღნიშნა, რომ პირადად მათ <u>არ ჰქონიათ</u> არანაირი სახის შეხება პოლიციასთან. <u>საპატრულო პოლიციასთან</u> თანამშრომლობის შესახებ მიუთითებს რესპონდენტთა 15.0%, <u>დეტექტივ-გამომძიებელთან</u> - 2.6%. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა <u>უბნის ინსპექტორთან</u> შემხებლობის შემთხვევაში - 19 რესპონდენტი. რაც შეეხება <u>მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტს,</u> მხოლოდ 1 რესპონდენტს ჰქონდა დაზარალებულის, ან კანონდამრღვევის ან მოწმის სტატუსით აღნიშნულ ინსტიტუტთან კავშირი. გამოკითხულთაგან 14-მა აღნიშნა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მიიღო მსგავსი გამოცდილება, თუმცა <u>არ იცის რომელი სფეროს პოლიციასთან.</u>

რაც შეეხება ანალიზის მეორე დონეს, რესპონდენტის **ოჯახის წევრს,** ამ შემთხვევაში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საკუთარი ოჯახის წევრის პოლიციათან შეხებას უარყოფს 83.5%. გამოკითხულთა 12.9%-ის ოჯახის წევრს ჰქონია საპატრულო პოლიციათან შეხება. არც ერთი რესპონდენტი არ აღმოჩნდა, ვისი ოჯახის წევრსაც <u>მართლწესრიგის ოფიცერთან</u> ჰქონია შეხება. ანალიზის ორივე დონეზე, მართლწესრიგის ოფიცერთან კავშირის მსგავსი დაბალი მაჩვენებელი, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული ინსტიტუტი ახალია და ჯერ არ ჰქონია თბილისის ყველა რაიონში მოქმედების საშუალება და მოსახლეობასთან კონტაქტი (იხ. დიაგრამა #5):

დიაგრამა #5



საბოლოო ჯამში, რესპონდენტთა პირადი და ოჯახის წევრების გამოცდილების გათვალისწინებით, **საპოლიციო ინსტიტუტებთან არანაირი სახის შეხება (რაიმე სტატუსით) არ ჰქონია რესპონდენტთა ან მათი ოჯახის წევრთა გამოკვეთილ უმრავლესობას - 72.1%-ს; პოლიციასთან მისი ან მისი ოჯახის წევრების შეხებას ადასტურებს გამოკითხულთა 27.9%.**

ამავე კონტექსტში საინტერესოა ***პოლიციასთან შეხების სიხშირე.*** აღნიშნული ცვლადიც რესპონდენტთან და მისი ოჯახის წევრებთან მიმართებით გაანალიზდა. ორივე, როგორც რესპონდენტის, ისე მისი ოჯახის წევრის, დონის შემთხვევაში, ყველაზე ხშირად დაფიქსირდა პასუხი **„ერთხელ“** (შესაბამისად, 58.8% და 54.3%). შემთხვევათა მაქსიმალურმა რაოდენობამ კი თითოეულ დონეზე 20-ს მიაღწია. ანალიზის ორივე დონეზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აგრეთვე პოლიციასთან **„ორჯერ“** კონტაქტის შემთხვევაში. პროცენტული მაჩვენებელები ასე გადანაწილდა; <u>რესპონდენტი</u> - 21.9%; მისი <u>ოჯახის წევრი</u> - 25.7%.

ცენტრალური ტენდენციის საზომები (საშუალო მაჩენებელი და მედიანა) ადასტურებს, რომ პოლიციასთან შემხებლობის სიხშირე, ბოლო 12 თვის განმავლობაში ძირითადად 1 ან 2 შემთხვევით შემოიფარგლება (იხ. დიაგრამა #6):

დიაგრამა #6



პოლიციასთან შეხება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სამ ძირითად სტატუსთან: დაზარალებული, კანონდამრღვევი და მოწმე. როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, იმ რესპონდენტების უმრავლესობას (65.8%), რომლებიც პოლიციასთან ურთიერთობას (მისი ან მისი ოჯახის წევრის) ადასტურებენ, პოლიციასთან შეხება **კანონდამრღვევის** სტატუსით ჰქონია. შემდეგ პოზიციას იკავებს **დაზარალებულის** სტატუსი - 31%; ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს **მოწმის** კატეგორიას - 5.3%.

კანონდამრღვევის სტატუსის ფარგლებში ყველაზე მეტად ჭარბობს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტი (75.0%). **დაზარალებულის** შემთხვევაში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (20.2%) აქვს „რაიმე ნივთის დაკარგვას“. ხოლო; რაც შეეხება **მოწმის** სტატუსს, აქ „ავტოსაგზაო შემთხვევა“ და „სამეზობლო კონფლიქტი“ თანაბარი 18.8%-ით არის წარმოდგენილი (იხ. ცხრილი #2):

გასული 12 თვის განმავლობაში, რომელი საკითხ(ებ)ის გამო გქონიათ შეხება პოლიციასთან თქვენ ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს ამა თუ იმ სტატუსით

	როგორც მოწმეს (N=36)	როგორც კანონდამრღვევს (N=409)	როგორც დაზარალებულს (N=230)
მართვის მოწმობის ჩამორთმევა (ან მოწმობასთან დაკავშირებული სხვა სირთულეები)	0.0%	7.2%	3.6%
ავტოსაგზაო შემთხვევა	18.8%	4.3%	12.9%
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა	2.9%	75.0%	9.4%
რაიმე ნივთის დაკარგვა	8.5%	0.6%	20.2%
ავტომობილის ქურდობა	0.0	0.2%	3.3%
ავტომობილიდან რაიმე ნივთის ქურდობა	0.0	0.0	4.6%
ბინის გაქურდვა	5.6%	0.2%	5.1%
ბინის გაქურდვის მცდელობა	0.0	0.6%	2.4%
მაღაზიის გაქურდვა	2.9%	0.0	2.4%
ქუჩაში თავდასხმა	0.0	0.4%	2.4%
ოჯახური კონფლიქტი/ძალადობა	0.0	1.1%	4.0%
სამეზობლო კონფლიქტი	18.8%		5.6%
ნარკოტიკების მოხმარება/გასაღება	0.0	2.3%	0.5%
დაკარგული შვილის/ადამიანის გამო	2.8%	0.0	0.5%
მკვლელობა/გარდაცვალება/ჯანმრთელობის ხელყოფა	8.2%	0.0	0.4%
ჩხუბი	4.9%	0.6%	1.7%
თაღლითობა/ფულის გამოძალვა	0.0	0.0	1.8%
სხვა	20.9%	5.5%	16.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	2.8%	1.1%	2.3%
უარი პასუხზე	2.9%	0.8%	0.3%

შემდგომ ეტაპზე, რესპონდენტებმა შეაფასეს ბოლო შემთხვევასთან დაკავშირებით ***პოლიციის მხრიდან განხორციელებული ზომები.*** როგორც აღმოჩნდა, უმეტეს შემთხვევაში, 78.8%, პოლიციამ შესაბამისი ზომები მიიღო, რომელთა შორისაც გამოიყო შემდეგი კონკრეტული ზომები: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენა - 26.5%; პირის გამოკითხვა - 21.6%; პირის მოწვევა პოლიციის განყოფილებაში - 8.6%; ჯარიმა მოძრაობის წესების დარღვევისთვის - 8.1%; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება - 8.0% (იხ. დიაგრამა #7):

დიაგრამა #7



გარდა იმისა, რომ რესპონდენტებმა უშუალოდ გამოყვეს ის ზომები, რომლებიც პოლიციის მხრიდან განხორციელდა კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, ამასთანავე, მათ შეაფასეს ***პოლიციის მოქმედებით კმაყოფილების დონე.*** კმაყოფილება გაიზომა 5-ქულიანი სკალით, რომელზეც 1 ნიშნავს „ძალიან უკმაყოფილოს“, ხოლო 5 – „ძალიან კმაყოფილს“. ნეიტრალური პუნქტი მოცემულ სკალაზე 3–ია, რაც იმას ნიშნავს, რომ 3–ზე დაბალი მაჩვენებლები უკმაყოფილების ველშია მოქცეული, ხოლო 3–ზე მაღალი – კმაყოფილების ველში. კვლევა აჩვენებს, რომ უმრავლესობა (54.3%) პოლიციის მოქმედებით კმაყოფილია; ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (40.5%) დაფიქსირდა კატეგორიაში „უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო“. მიღებული შედეგების საშუალო მაჩვენებელიც (Mean) 3.45 (Std. Deviation = 1.159) კმაყოფილების შეფასების დადებით ველშია მოქცეული (იხ.დიაგრამა #8).

დიაგრამა #8



აღნიშნული გამფილტრავი შეკითხვის მიხედვით, იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც მიუთითეს, რომ უკმაყოფილოები ან უფრო უკმაყოფილოები არიან პოლიციის მოქმედებით, ვიდრე კმაყოფილნი (ჯამში 19.5%), მიუთითეს ***უკმაყოფილების მიზეზებზე.*** კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტების უკმაყოფილებას, უმეტეს შემთხვევაში, იწვევს პოლიციის მხრიდან შეუსაბამო ზომების მიღება - 28.4%. დასახელდა უკმაყოფილების სხვა მიზეზებიც: პოლიციამ მიიღო არასაკმარისი ზომები - 17.9%; პოლიციის მხრიდან საქმის ბოლომდე არ მიყვანა - 15.4%; პოლიციის არაპროფესიონალური ქცევა - 15.2% და ა.შ. (იხ.დიაგრამა #9):

დიაგრამა #9



პოლიციის მოქმედებით კმაყოფილების დონეს აჩვენებს, ასევე, რესპონდენტთა მზაობა იმასთან დაკავშირებით, მიმართავდნენ თუ არა ***პოლიციას მომავალში რაიმე სახის სადავო საკითხთან დაკავშირებით.*** აღნიშნული საკითხი გაიზომა 4-ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „არ მივმართავ“, ხოლო 4 – „აუცილებლად მივმართავ“. როგორც აღმოჩნდა რესპონდენტთა უმრავლესობა (56%) აუცილებლად მიმართავდა პოლიციას. რესპონდენტთა მხოლოდ მცირე რაოდენობა (7.3%) აღნიშნავს, რომ არ მიმართავდა პოლიციას. პოლიციისადმი მიმართვიანობის მზაობას აღწერს, აგრეთვე, საშუალო მაჩვენებელი – Mean = 3.35 (Std, Deviation = 0.918) – რომელიც შეფასების დადებით ველშია მოქცეული (ანუ, Mean >2.5–ზე); Median = 4 (იხ.დიაგრამა #10):

დიაგრამა #10



აღნიშნული საკითხის კვლევის გაგრძელებას წარმოადგენს ***დანაშაულის სახეებზე აქცენტირება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად აუცილებელია, რესპონდენტთა თვალსაზრისით, პოლიციისადმი მიმართვა თითოეულ სახესთან დაკავშირებით.*** რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ 23 განსხვავებული სიტუაცია. პასუხები მოინიშნა სამქულიან სკალაზე: 1 – „აუცილებლად უნდა მიმართოს“; 2 – „არ არის აუცილებელი, რომ მიმართოს“; 3 – „არ უნდა მიმართოს“.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ დანაშაულის უმეტეს შემთხვევებთან დაკავშირებით, რესპონდენტები ხედავენ პოლიციისადმი მიმართვის აუცილებლობას. ეს განსაკუთღებით იკვეთება შემდეგ სახეებთან მიმართებით: ავტომობილის ქურდობა (94.3%); ბინის გაქურდვა (95.8%); ოფისის გაქურდვა (95%); მაღაზიის გაქურდვა (95%); ქუჩაში ყაჩაღობა (93.4%); ქუჩაში თავდასხმა (93.2%); სექსუალური ძალადობის შემთხვევა (92%); ორგანიზებული დანაშაული (90.5%). აღსანიშნავია, რომ, **ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში, რესპონდენტთა**

მნიშვნელოვანი რაოდენობა (ზოგჯერ, უმრავლესობაც) ვერ ხედავს პოლიციისადმი მიმართვის აუცილებლობას. მაგალითად, ოჯახური კონფლიქტის შემთხვევაში მხოლოდ 53.4% მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა მიმართონ პოლიციას. აქ შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (28.7%) აქვს პოზიციას: „არ არის აუცილებელი, რომ მიმართოს“, ხოლო დამატებით 14% ფიქრობს, რომ „არ უნდა მიმართოს“. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეზობლო კონფლიქტის შემთხვევა: გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (39.1%) მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი მსგავსი დანაშაულის დროს პოლიციისადმი მიმართვა. კიდევ უფრო მეტი ლოიალობა გამოიჩინეს რესპონდენტებმა ისეთ დევიაციებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ანტისოციალური მოქმედებები (მაგალითად, ქუჩაში ნაგვის დაყრა) და ხმაური კვების ობიექტებიდან: რესპონდენტთა გამოკვთილ უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ მსგავსი დევიაციები იმსახურებს პოლიციისადმი მიმართვას (იხ.დიაგრამა #11):

დიაგრამა #11



ამავე კონტექსტში რესპონდენტებმა შეაფასეს, ზოგადად, მათი აზრით, ***რატომ არ მიმართავენ/თანამშრომლობენ ხოლმე მოქალაქეები პოლიციასთან.*** გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილის (17.1%) აზრით, მთავარი მიზეზი არის **პოლიციისადმი უნდობლობა.** ასევე, შედარებით მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა ისეთ მიზეზებთან მიმართებით, როგორებიცაა: პოლიციის არაეფექტურობის მოლოდინი (13.0%), მოქალაქეობრივი გულგრილობა (12.4%), მოსალოდნელი ქმედებებისგან (დაკითხვა, სასამართლოზე მოწმედ გამოსვლა) თავის არიდება (12.4%) და დამნაშავის მიმართ შიში (10.2%) (იხ.დიაგრამა #12).

იაგრამა #12



პოლიციასთან ურთიერთობის ერთ-ერთი საფუძველმდებარე კონტექსტი არის, იციან თუ არა რესპონდენტებმა ***პოლიციაში დასარეკად საჭირო ნომერი.*** გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ, 87.6%-მა, აღნიშნა, რომ შესაბამის ინფორმაციას ფლობს. სწორედ ამ რესპონდენტებმა მიუთითეს შემდგომ კონკრეტული ნომერი. საინტერესოა, რომ მათ შორის,

ვინც მიუთითა, რომ იცის თუ რა ნომერზე უნდა დარეკოს პოლიციაში საჭიროების შემთხვევაში, 59 მათგანი (ანუ, მთელი შერჩევის 2.5%) არასწორ ნომერს (112–გან განსხვავებულს) ასახელებს (იხ.დიაგრამა #13):

დიაგრამა #13



3. პოლიციის მიმართ ინფორმირებულობა და ნდობა

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა საპოლიციო ინსტიტუტების შესახებ **ინფორმირებულობა** და პოლიციის მიმართ **ნდობა.**

3.1. საპოლიციო ინსტიტუტების შესახებ ინფორმირებულობა

ინფორმირებულობის თვალსაზრისით, საწყის ეტაპზე, გაანალიზდა პოლიციის მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები. პროცენტულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (47.8%) ერგო ტელევიზიას (ონლაინ გმაუწყებლობის გარდა); შემდეგ მოდის: სოციალური ქსელები (25.3%); არაფორმალური წყაროები (14.3%); საინფორმაციო საშუალებების ვებ-გვერდები (ონლაინ ტელევიზიების ჩათვლით) (8.4%). პასუხის დანარჩენი კატეგორიები 4%-ზე ნაკლები მაჩვენებლით არის წარმოდგენილი (იხ.დიაგრამა #14):

დიაგრამა #14



რაც შეეხება ***მიღებული ინფორმაციის შინაარს,*** დადებითია თუ უარყოფითი, რესპონდენტებმა აღნიშნული საკითხი 4-ქულიან სკალაზე შეაფასეს, რომელზეც 1 ნიშნავს „ძალზე უარყოფითს“, ხოლო 4 – „ძალზე დადებითს“. მიღებული შედეგების საშუალო მაჩვენებელი (Mean) არის 2.44 (Std. Deviation = 0.655) შეფასების უარყოფით ველშია მოქცეული, თუმცა ძალზე ახლოსაა

ნეიტრალურ პუნქტთან (ამ სკალისთვის 2.5; Median = 2). ამდენად, რესპონდენტების **შედარებით დიდი ნაწილი უფრო მეტად უარყოფით ინფორმაციას იღებს პოლიციის მუშაობის შესახებ.** პროცენტული მაჩვენებლების თვალსაზრისითაც, ყველაზე მაღალი შედეგი ერგო შემდეგ კატეგორიას: „უფრო უარყოფით ინფორმაციას ვიღებ, ვიდრე დადებითს“ (42.9%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა კატეგორიაში „ძალზე დადებით ინფორმაციას ვიღებ“ – 2.8% (იხ. დიაგრამა #15):

დიაგრამა #15



შემდგომი შეკითხვები **ტესტური ხასიათის** იყო – რესპონდენტებს უნდა შეეფასებიდან მათთვის შეთავაზებული ფუნქციებიდან, რომელი შედის პოლიციის სხვადასხვა – საპატრულო ან კრიმინალური – დანაყოფის კომპეტენციაში ან რომელი ფუნქციაა გადამფარავი მათ შორის. გამოკითხვამ ასეთი შედეგი აჩვენა:

- ის, რომ დანაშაულისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა-აღკვეთასა და პრევენციაზე ორივე ინსტიტუტი მუშაობს, სწორად შეაფასა რესპონდენტების 34.7%-მა.
- გამოკითხულთა უმრავლესობის (61.7%) აზრით, დანაშაულის გამოძიება და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება კრიმინალური პოლიციის კომპეტენციაა, თუმცა, რეალურად, ამას ორივე ინსტიტუტი ასრულებს;
- რესპონდენტთა 63.2%-მა სწორად იცის, რომ კიბერდანაშაულის გამოძიება მხოლოდ კრიმინალური პოლიციის კომპეტენციაში შედის;
- რესპონდენტთა უმრავლესობას (65.4%) არასწორად ჰგონია, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებაც ან მხოლოდ კრიმინალური პოლიციის საქმეა (42.3%), ან მხოლოდ საპატრულო პოლიციის (23.1%), მაშინ როდესაც ამ მიმართულებით ორივე ინსტიტუტი მუშაობს;

- გამოკითხულთა 45.3% სწორად მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას მხოლოდ საპატრულო პოლიცია ახორციელებს;
- საინტერესო ვითარება აღმოჩნდა საგზაო მოძრაობის მოწესრიგების თვალსაზრისით. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა, 85.2%, მიიჩნევს, რომ გზებზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეზღუდვის ან შეწყვეტის ორგანიზება მხოლოდ საპატრულო პოლიციის საქმიანობაა; მაშინ როდესაც რეალურად ეს კომპონენტი კრიმინალური პოლიციის კომპეტენციაშიც შედის;
- თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ტრეფიკინგის, ნარკომანიისა და საერთაშორისო ნარკობიზნესის, იარაღით, უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი რესპონდენტების თითქმის ნახევრისთვის (49.4%) მხოლოდ კრიმინალურ პოლიციასთან ასოცირდება, თუმცა, რეალურად, ამ ტიპის საქმიანობას მხოლოდ საპატრულო პოლიცია ახორციელებს;
- რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიერ და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის აღმკვეთი და პრევენციული ღონისძიებების ორგანიზებას, გამოკითხულთა მხოლოდ მესამედმა (34.5%) უპასუხა სწორად, როდესაც აღნიშნული სფერო მიაკუთვნა მხოლოდ კრიმინალური პოლიციის კომპეტენციას (იხ. დიაგრამა #16):

დიაგრამა #16



ინფორმირებულობის ცვლადის კონტექსტში, რესპონდენტებს მოუწიათ განესაზღვრათ, თუ ***ვის უნდა მიმართონ მათ მიმართ პოლიციელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში.*** როგორც შედეგები აჩვენებს, რესპონდენტების მესამედი – 33.8% – სწორად მიიჩნევს, რომ მსგავს სიტუაციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას უნდა მიმართონ, ხოლო 20.3%–ის აზრით, ასეთ შემთხვევაში ისევ პოლიციას მიმართავდნენ. პროცენტული გადანაწილების მიხედვით, შემდეგ ადგილზეა სასამართლო - 17.3%, ადვოკატი“ - 14.3%, „სახალხო დამცველი“ - 10.6%. 7%-ის ფარგლებში მოხვდა მედია საშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური ქსელში განცხადება (იხ. დიაგრამა #17):

დიაგრამა #17



რესპონდენტებმა, ასევე, შეაფასეს საკუთარი ინფორმირებულობა ***შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო პერიოდში მიმდინარე რეფორმების შესახებ.*** შეფასება განხორციელდა 4-ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 ნიშნავს „არ ვარ ინფორმირებული“, ხოლო 4 – „სრულად ინფორმირებული ვარ“. **გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი 40.3% მიიჩნევს, რომ არ არის ინფორმირებული შსს–ში მიმდინარე რეფორმების შესახებ.** მინიმალური რაოდენობა კი სრულად ინფორმირებულის კატეგორიაში დაფიქსირდა - 3.2% (74 რესპონდენტი). მიღებული შედეგების საშუალო მაჩვენებელი (Mean) არის 1.93 (Std. Deviation = 0.894), ხოლო Median = 2, რაც იმავე გარემოებას უსვამს ხაზს, რასაც პროცენტული გადანაწილება - რესპონდენტები თავს უფრო მეტად არაინფორმირებულებად მიიჩნევენ (იხ.დიაგრამა #18).

დიაგრამა #18



განხორციელებული/მიმდინარე/დაგეგმილი რეფორმების გათვალისწინებით, რესპონდენტებმა შეაფასეს, ***რომელი მათგანია მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.*** ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები აქვს გამომძიებელთა გადამზადებას და ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის შექმნას (შესაბამისად, 44.9% და 43.7%), შემდეგი ადგილი დაიკავა ახალგაზრდა კადრების მიღებამ პოლიციის სტრქუტურაში - 35.6%. რესპონდენტების ყველაზე მცირე ნაწილმა (12.3%) მიიჩნია მნიშვნელოვნად პოლიციის ინფრასტრუქტურის განახლება (იხ. დიაგრამა #19):

დიაგრამა #19



3.2. პოლიციის მიმართ ნდობა

რესპონდენტებმა აღწერეს ***ის განცდა, რაც პოლიციელის დანახვისას ეუფლებათ.*** გამოკითხულთა უმრავლესობა (55%) პოლიციელის დანახვისას თავს **დაცულად** გრძნობს. მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო კატეგორიას „გულგრილი ვარ“ – 32.1%; როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა მინიმალურ რაოდენობას, მხოლოდ 1.6%-ს (41 რესპონდენტი) ეუფლება პოლიციელის დანახვისას შიშის გრძნობა (იხ.დიაგრამა #20):

დიაგრამა #20



შემდგომ ეტაპზე რესპონდენტებმა დაასახელეს ის სამი სიტყვა (ე.წ. „აღმნიშვნელები“), რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე უკეთ აღწერს პოლიციას თბილისში. როგორც კვლევამ აჩვენა, ყველაზე მეტჯერ, 584-ჯერ, დასახელდა **„პროფესიონალიზმი“** (რაც საერთო დასახელებული შემთხვევების 23.1%–ს შეადგენს და, მეორე მხრივ, ეს ეპითეტი გამოიყენა გამოკითხულთა ყველა მეტმა რაოდენობამ – 14%–მა), 500-ჯერ - **„უსაფრთხოება“** (19.5%, გამოიყენა რესპონდენტთა 11.9%–მა), 304-ჯერ – „კანონი“ (12.3%, გამოიყენა რესპონდენტთა 7.5%–მა), 307-ჯერ „კეთილგანწყობა“ (12%, გამოიყენა რესპონდენტთა 7.3%–მა) და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი მაჩვენებლის მქონე პასუხებში, ძირითადად, **დადებითი კონოტაციის** შემცველი სიტყვები ჭარბობს, არცთუ იშვიათად დასახელდა, აგრეთვე, რამდენიმე **უარყოფითი კონოტაციის** შემცველი სიტყვებიც; კერძოდ, მაგალითად, არაკომპეტენტურობა დასახელდა 233-ჯერ (5.6%), უხეშობა - 120-ჯერ (5%), გულგრილობა - 107-ჯერ (4.4%) და ა.შ. (იხ. დიაგრამა #21):

დიაგრამა #21



გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებმა შეაფასეს ***სხვადასხვა სამართალდამცავი ინსტიტუტის მიმართ ნდობის ხარისხი;*** ეს ინსტიტუტებია: საქართველოს პროკურატურა, საქალაქო სასამართლო, რაიონული სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლო, საპატრულო პოლიცია/დეტექტივ-გამომძიებელი, კრიმინალური პოლიცია, უბნის ინსპექტორი, მართლწესრიგის ოფიცერი. შესაფასებლად გამოყენებული იყო 5-ქულიანი სკალა, რომელზეც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვენდობი“, ხოლო 5 – „სრულიად ვენდობი“. როგორც აღმოჩნდა, ინსტიტუტების უმრავლესობის შეფასებისას რესპონდენტებს უჭირთ მკვეთრად რომელიმე პოლუსური – დადებითი ან უარყოფითი – პოზიციის დაფიქსირება, ჭარბობს შუალედური პასუხი - „თანაბრად არ ვენდობი და ვენდობი“. ამდენად, აღნიშნული ინსტიტუტების ნდობის ხარისხის შესახებ უფრო დაზუტებულ ინფორმაციას გვაძლევს საშუალო მაჩენებლები (Mean):

ა) **ნდობის დადებით ველში** (Mean > 3-ზე) მოხვდა შემდეგი ინსტიტუტები: საპატრულო პოლიცია/დეტექტივ-გამომძიებელი (Mean= 3.42), უბნის ინსპექტორი (Mean =3.33), კრიმინალური პოლიცია (Mean= 3.20), მართლწესრიგის ოფიცერი (Mean= 3.42).[1]

ბ) **ნდობის უარყოფით ველში** (Mean < 3-ზე) მოხვდა შემდეგი ინსტიტუტები: საქართველოს პროკურატურა (Mean =2.75), რაიონული სასამართლო (Mean= 2.75), საქალაქო სასამართლო

[1] მართლწესრიგი ოფიცერთან დაკავშირებით სპეციფიკური ვითარებაა: რესპონდენტების დიდ უმრავლესობას (79.3%) უჭირს საკუთარი ნდობის შეფასება, რამდენადაც არ იცნობს ამ ინსტიტუტს; ნდობის საშუალო მაჩენებლები დაითვალა მათ შორის, ვინც, სავარაუდოდ, იცნობს ამ ინსტიტუტს და არ გაუჭირდა მისი შეფასება.

(Mean= 2.86), სააპელაციო სასამართლო (Mean= 2.88), საკონტიტუციო სასამართლო (Mean= 2.90) და უზენაესი სასამართლო (Mean= 2.92).

ნდობის ხარისხის ზემოაღნშნულ განაწილებას ასახავს პროცენტული მაჩვენებლებიც (იხ. დიაგრამები ##22ა და 22ბ)):

დიაგრამა #22ა



დიაგრამა #22ბ



კვლევის ფარგლებში შეფასდა, აგრეთვე, ის, ***თუ რამდენად პრესტიჟულია იყო პოლიციის თანამშრომელი.*** აღნიშნული საკითხი გაიზომა 5-ქულიანი სკალით, რომელზეც 1 ნიშნავს „ძალზე არაპრესტიჟულს“, ხოლო 5 – „ძალზე პრესტიჟულს“. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 40.2%, დაფიქსრიდა მესამე კატეგორიაში - „თანაბრად არაპრესტიჟულიც და პრესტიჟულიც“, პროცენტულად მაღალი მაჩვენებელია, ასევე, „პრესტიჟულის“ კატეგორიაში. მიღებული შედეგების საშუალო მაჩვენებელი (Mean) არის 3.10 (Std. Deviation = 0.908). ეს სტატისტიკური შედეგიც მიუთითებს, რომ რესპონდენტები, ძირითადად, პოლიციის თანამშრომლობას მიიჩნნევენ, როგორც თანაბრად არაპრესტიჟულსაც და პრესტიჟულსაც, თუმცა, უფრო მეტად პრესტიჟულისკენ იხრებიან (იხ. დიაგრამა #23):

დიაგრამა #23



პოლიციის მიმართ ნდობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად შეიძლება მივიჩნიოთ, ***ისურვებდნენ თუ არა რესპონდენტები, რომ მათი ოჯახის რომელიმე წევრი იყოს პოლიციის თანამშრომელი.*** აღნიშნული დიქოტომიური შეკითხვის პასუხის ვარიანტებში მიღებული მაჩვენებლები, თითქმის, თანაბრად გადანაწილდა: ოჯახის წევრის პოლიციელობას არ ისურვებდა 47.3%, ხოლო რესპონდენტების 45.5% აცხადებს, რომ ისურვებდა (იხ. დიაგრამა #24):

დიაგრამა #24



ზემოაღნიშნული ფილტრი შეკითხვის გამოყენებით, ***იმ მიზეზების დადგენის საშუალება მოგვეცა, რომელთა გამოც არ ისურვებდნენ რესპონდენტები მათი ოჯახის წევრის პოლიციელობას.*** გამოიყო 5 ძირითადი მიზეზი, რომელთაც განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები აქვს: სიცოცხლისთვის სარისკო სამუშაოს გამო - 46.3%, მძიმე სამუშაო რეჟიმის გამო - 33.7%, პოლიციის მიმართ დაკარგული ნდობის გამო - 33%, პოლიციაში მუშაობის არაპრესტიჟულობის გამო - 23.1% , დაბალი ანაზღაურების გამო - 10.5%. როგორც ჩანს, მიზეზებში ხაზი გაესვა როგორც ინდივიდის სიცოცხლესა და დატვირთვასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს (იხ. დიაგრამა #25):

დიაგრამა #25



პოლიციის ინსტიტუტის შესახებ ინფორმირებულობისა და მის მიმართ ნდობის ფონზე, რესპონდენტებმა შეაფასეს ***შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში.*** აღნიშნული საკითხი გაიზომა 5-ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 ნიშნავს „ძალზე უარყოფითად“, ხოლო 5 – „ძალზე დადებითად“. მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოკვეთიილი ცენტრალური ტენდენციების თანახმად, შსს-ს ბოლო ერთწლიანი საქმიანობის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) არის 3.01 (Std. Deviation = 0.928), რაც მიუთითებს იმაზე, რომ **რესპონდენტები, ძირითადად, ნეიტრალურად („არც დადებთად, არც უარყოფითად“) აფასებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას.** ამავეს უსვამს ხაზს პროცენტული მაჩვენებლებიც - რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი, 42.3% შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას ბოლო ერთი წლის განმავლობაში „არც დადებითად, არც უარყოფითად“ აფასებს. მეორე მხრივ, დადებითად შემფასებელთა ხვედრითი წილი (26.1%) მცირედით აჭარბებს უარყოფითად შემფასებელთა წილს (21.9%) (იხ. დიაგრამა #26):

დიაგრამა #26



4. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შეფასება

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ თბილისელთა ინფორმირებულობის დონე, გამოვლინდა ის მოვალეობები, რომლებიც, თბილისელთა აზრით მართლწესრიგის ოფიცრის ძირითად ფუნქციებს უნდა წარმოადგენდეს. კვლევა დაინტერესდა, მართლწესრიგის ოფიცრების მიერ ორგანიზებითა და მონაწილეობით როგორი ტიპის პროექტებში/ღონისძიებებში ჩაერთვებიან რესპონდენტები ამა თუ იმ ფორმით. აგრეთვე, კვლევის ფარლგებში შევისწავლეთ მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობა ვაკე-საბურთალოს ტერიტორიულ ერთეულში, სადაც 2018 წლიდან ხორციელდება მათლწესრიგის ოფიცრის საპილოტე პროგრამა.

აღმოჩნდა, რომ თბილისელების 28.6%–ს სმენია მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ, შესაბამისად, გამოკვეთილ უმრავლესობას (71.2%) არ სმენია (იხ.დიაგრამა #27).

დიაგრამა #27



თბილისელების იმ ნაწილიდან, ვისაც მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ სმენია, უმრავლესობა **ინფორმაციას** იღებს ტელევიზიის (59.8%) საშუალებით. აღსანიშნავია ინფორმაციის მიღების სხვა წყაროებიც, როგორებიცაა: სოციალური ქსელები - 16.1.% და არაფორმალური წყაროები - 12.4% (იხ.დიაგრამა #28).

დიაგრამა #28



რაც შეეხება ***მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქციებს,*** კვლევა აჩვენებს, რომ მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტები (715 რესპონდენტი) ძირითადად სწორად განსაზღვრავენ ამ ინსტიტუტის მთავარ მოვალეობებს: ამ კატეგორიის გამოკითხულთაგან ნახევარი მიიჩნევს, რომ მართლწესრიგის ოფიცრის მთავარი ფუნქციაა დანაშაულის თავიდან აცილება/პრევენცია; ხოლო მნიშვნელოვანი რაოდენობა (36.7%) ფიქრობს, რომ მთავარი მოვალეობაა სწრაფი რეაგირებაა დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში (იხ.დიაგრამა #29):

დიაგრამა #29



თბილისელებმა შეაფასეს ***სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხი, რომელთა მოგვარებაც მართლწესრიგის ოფიცრის საზრუნავი უნდა იყოს.*** ამა თუ იმ საკითხის მნიშვნელოვნება შეფასდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „სრულიად უმნიშვნელოა“, ხოლო ქულა 5 – „ძალზე მნიშვნელოვანია“; ქულა 3 შეესაბამება შეფასების ნეიტრალურ წერტილს.

გამოკითხულთა უმრავლესობამ, 50%-ზე მეტმა, **ძალზე მნიშვნელოვნად** შემდეგ საკითხებზე მუშაობა შეაფასა: ბავშვებთან მუშაობა (მათ შორის, ქუჩის და რთული სოციალური ქცევის ბაშვებთან) - 69.8%; არაცენტრალური ქუჩების გაკონტროლება - 59.2%; არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაული - 57.3%; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული - 56.3%; ნარკოტიკების საწინააღმდეგო კამპანია - 53.4%; სექსუალური ძალადობა - 50.6%; ქუჩაში თავდასხმა - 50.1%.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში მიწოდებული ყველა საკითხი, რომელთა მოგვარებაც მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს, რესპონდენტების მიერ შეფასდა ძალზე მნიშვნელოვნად, ან უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე უმნიშვნელოდ (იხ. ცხრილი #3):

ცხრილი #3

საკითხი	**სრულიად უმნიშვნელოს**	**უფრო უმნიშვნელო, ვიდრე მნიშვნელოვანი ხარ**	**არც მნიშვნელოვანი, არც უმნიშვნელო**	**უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე უმნიშვნელო**	**ძალზე მნიშვნელოვანი**	**მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე**
ბავშვებთან მუშაობა (მათ შორის, ქუჩის და რთული სოციალური ქცევის ბაშვებთან)	2.3	1.3	3.6	16.2	69.8	6.8
ორგანიზებული დანაშაული	16.5	10.1	9.3	17.6	36.3	10.2
ნარკოტიკების საწინააღმდეგო კამპანია	7.2	3.8	8.0	19.2	53.4	8.4
სკოლაში სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიების ჩატარება	7.5	4.0	8.1	18.8	53.2	8.3
ქუჩაში ყაჩაღობა	8.1	5.6	8.6	21.3	48.8	7.6
ქუჩაში თავდასხმა	7.0	4.9	8.1	22.3	50.1	7.6
ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა	12.1	6.7	10.1	20.5	39.6	11.1
სექსუალური ძალადობის შემთხვევა	7.6	3.8	7.4	21.6	50.6	9.1
ოჯახური კონფლიქტი/ოჯახში ძალადობა	7.0	4.2	9.5	24.7	45.7	8.9
სამეზობლო კონფლიქტი	6.6	5.3	11.3	24.6	43.3	8.9
არასრლწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული	3.8	1.9	6.1	24.1	56.3	7.9

საკითხი	სრულიად უმნიშვნელოს	უფრო უმნიშვნელო, ვიდრე მნიშვნელოვანი ხარ	არც მნიშვნელოვანი, არც უმნიშვნელო	უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე უმნიშვნელო	ძალზე მნიშვნელოვანი	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაული	4.0	1.7	5.6	23.8	57.3	7.6
არაცენტრალური ქუჩების გაკონტროლება	3.7	4.0	6.2	19.3	59.2	7.7
ანტისოციალური ქმედებები, როგორიცაა, მაგალითად, ქუჩაში ნაგვის დაყრა და ა.შ	7.4	7.8	10.1	20.3	45.7	8.7
ხმაური კვების ობიექტებიდან	9.5	7.9	12.0	22.1	39.3	9.3

გამოკითხვა შეეხო იმასაც, ***მართლწესრიგის ოფიცრების მიერ ორგანიზებულ როგორი ტიპის პროექტებში/ღონისძიებებში ჩაერთვებიან, ან მონაწილეობას მიიღებენ ამა თუ იმ ფორმით თბილისელები.*** კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი მზაობა რესპონდეტების მხრიდან დაუკავშირდა მართლწესრიგის ოფიცრების მიერ ორგანიზებულ ისეთ პროექტებში/ღონისძიებებში მონაწილეობას, რომლებიც ეხება: გარემოს დაბიძნურებასთან დაკავშირებულ საკითხებს - 11.3%. ცხოველებზე ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ პროექტებს (8.6%) და ახალგაზრდებში კულტურისადმი, წიგნიერებისადმი მისწრაფების გაზრდასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს (7.9%) და ა.შ. (იხ.დიაგრამა #30):

დიაგრამა #30



რესპონდენტთა მთელ შერჩევას კვლევის ფარგლებში დაესვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ ***რამდენად ისურვებდნენ, რომ მათი ოჯახის რომელიმე წევრი გახდეს მართლწესრიგის ოფიცერი.*** აღნიშნული შეკითხვა შეფასდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს - „დიახ,

ვისურვებდი“, ხოლო 4 – „არა, არ ვისურვებდი“ . პროცენტული მაჩვენებლები მსურველთა და არამსურველთა შორის თითქმის თანაბრად გადანაწილდა, 43.1% - ისურვებდა, ან უფრო ისურვებდა, ვიდრე არა, ხოლო 43.9% არ ისურვებდა, ან უფრო არ ისურვებდა, ვიდრე კი, რომ მართლწესრიგის ოფიცერი ოჯახის რომელიმე წევრი გახდეს მართლწესრიგის ოფიცერი. 12% უჭირს შეკითხვაზე პასუხის გაცემა (იხ.დიაგრამა #31).

დიაგრამა #31



თბლისელების გამოკვეთილი უმრავლესობის (78.2%) აზრით, „მართლწესრიგის ოფიცრის“ ინსტიტუტის შემოღება ***ხელს შეუწყობს უსაფრთხოების დაცვას ქალაქში:*** 23.2% ფიქრობს, რომ ძალზე შეუწყობს ხელს, ხოლო 55% მიიჩნევს, რომ უფრო შეუწყობს ხელს, ვიდრე არა; ამ მიმართულებით, სკეპტიკოსთა რაოდენობა 10%-ს არ აღემატება (იხ.დიაგრამა#32).

დიაგრამა #32



რესპონდენტებს აქვთ პოზიტიური მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, გაამართლებს თუ არა „მართლწესრიგის ოფიცრის“ ინსტიტუტის შემოღება. თბილისის მოსახლეობის 22% მიიჩნევს, რომ „მართლწესრიგის ოფიცრის“ ინსტიტუტის შემოღება გაამართლებს, 48.7% აზრით კი, უფრო გაამართლებს, ვიდრე არა. შესაბამისად, 70% პოზიტიურად არის განწყობილი მართლწესრიგის ინსტიტუტის შემოღების მიმართ (იხ. დიაგრამა #33).

დიაგრამა #33



5. მართლწესრიგის ოფიცრებთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე რესპონდენტების დამოკიდებულებები

გამოკითხვა ითვალისწინებდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის მოსახლეობის იმ ოჯახების გამოკითხვას, რომლებთანაც რაიმე მიზეზით შეხება ჰქონდათ მართლწესრიგის ოფიცრებს. სულ გამოიკითხა 97 რესპონდენტი.

როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული სამიზნე ჯგუფის აბსოლუტურ უმრავლესობას, 92.4%-ს, სმენია მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ. ინფორმაციის მიღების წყაროს თვალსაზრისით ჭარბობს მართლწესრიგის ოფიცრებთან პირისპირი კომუნიკაცია - 31.7%, მნიშვნელოვანი წყაროა, ასევე, ტელევიზია (ონლაინ მაუწყებლობის გარდა) – 25.5%, ხოლო მინიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა რადიოს გამოყენების შემთხვევაში - 1.5% (იხ. დიაგრამა #34):

დიაგრამა #34



გამოკითხული სამიზნე ჯგუფის რესპონდენტების თითქმის ნახევარი, 46.5%, მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქციად დანაშაულის თავიდან აცილებას/პრევენციას ასახელებს. მნიშვნელოვანია იმ რესპონდენტთა წილიც, რომლებიც მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქციად დანაშაულზე წასწრებისას სწრაფ რეაგირებას ასხელებენ (იხ. დიაგრამა #35):

დიაგრამა #35



სამიზნე ჯგუფმა შეაფასა მართლწესრიგის ოფიცრების **მუშაობის მნიშვნელოვნება** სხვადასხვა დევიაციის/ღონისძიების კონტექსტში. შეფასება მოხდა 5-ქულიან სკალაზე (1 – „სრულიად უმნიშვნელო“, 5 – „ძალზე მნიშვნელოვანი“). მითითებულ დევიაციებთან/ღონისძიებებთან მიმართებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა „ძალზე მნიშვნელოვანის“ და „მნიშვნელოვანის“ კატეგორიებში. განსაკუთრებით დიდი პროცენტული წილით გამოირჩევა ოჯახური კონფლიქტის/ოჯახში ძალადობისა (75.4%) და სამეზობლო კონფლიქტის (79.9%) შემთხვევები. საშუალო მაჩვენებლებიც (Mean) მნიშვნელოვნების პოზიტიურ ველში თავსდება (ანუ Mean . 3-ზე). თუმცა, ნეიტრალურ პუნქტთან (ქულა 3) ყველაზე მეტად მიახლოებული არის ორგანიზებული დანაშაულის კატეგორია (Mean – 3.10, Std. Deviation 1.532), შემდეგ პოზიციას კი ნარკოტიკების საწინააღმდეგო კამპანია იკავებს საშუალო მაჩვენებლით 3.39 (Std. Deviation 1.555). სწორედ ამ უკანასკნელი ღონისძიების შემთხვევაში ფიქსირდება მაღალი ნეგატიური მაჩვენებელი - რესპონდენტების 23.6% მიუთითებს, რომ მსგავს საკითხზე მართლწესრიგის ოფიცრების მუშაობა სრულიად უმნიშვნელოა (იხ. ცხრილი #3):

ცხრილი #3

საკითხი	სრულიად უმნიშვნელოს	ეფარო უმნიშვნელო, ვიდრე მნიშვნელოვანი ხარ	არც მნიშვნელოვანი, არც უმნიშვნელო	ეფარო მნიშვნელოვანი, ვიდრე უმნიშვნელო	ძალზე მნიშვნელოვანი	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
ბავშვებთან მუშაობა (მათ შორის, ქუჩის და რთული სოციალური ქცევის ბაშვებთან)	1.0	6.4	12.1	11.3	67.1	2.2
ორგანიზებული დანაშაული	23.6	6.8	22.8	13.7	24.5	8.6
ნარკოტიკების საწინააღმდეგო კამპანია	18.2	9.4	15.4	14.0	33.7	9.3
სკოლაში სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიების ჩატარება	7.4	6.0	19.5	21.6	39.9	5.5
ქუჩაში ყაჩაღობა	11.5	11.3	14.2	20.9	39.0	3.1
ქუჩაში თავდასხმა	8.6	10.5	20.9	17.3	39.5	3.1
ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა	4.3	3.1	22.6	24.8	41.9	3.4
სექსუალური ძალადობის შემთხვევა	5.5	1.0	8.4	13.5	69.3	2.4
ოჯახური კონფლიქტი/ოჯახში ძალადობა	2.1	0	7.8	13.5	75.4	1.2
სამეზობლო კონფლიქტი	1.2	0	10.7	7.0	79.9	1.2
არასრლწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული	4.3	1.0	24.5	13.7	54.2	2.4
არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაული	5.3	1.9	28.1	10.1	53.4	1.2
არაცენტრალური ქუჩების გაკონტროლება	2.9	6.0	18.7	23.6	46.4	2.4
ანტისოციალური ქმედებები, როგორიცაა, მაგალითად, ქუჩაში ნაგვის დაყრა და ა.შ	2.1	4.1	29.8	19.9	44	0
ხმაური კვების ობიექტებიდან	2.1	5.1	30.8	16.2	44.6	1.2

აღნიშნული სამიზნე ჯგუფი შეფასდა იმ თვალსაზრისითაც, **თუ რომელ პროექტებში მიიღებდნენ რესპონდენტები მონაწილეობას,** რომლებიც შედის მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენციებში. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტებმა გამოარჩიეს რამდენიმე პროექტი, რომლებშიც ისურვებდნენ მონაწილეობას: ა) ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული ღონისძიებები (ეს კავშირშია იმასთან, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მუშაობა სამიზნე ჯგუფში მართლწესრიგის ოფიცრების მნიშვნელოვან ფუნქციად და მოვალეობად მიიჩნევა); ბ) უკანონო მშენებლობების აღკვეთასთან დაკავშირებული პროექტები; გ) ჯანსაღი

ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები; დ) მეზობლებს შორის კონფლიქტების თემაზე მიმართული პროექტები და ა.შ. (იხ. დიაგრამა #36):

დიაგრამა #36



რესპონდენტებმა შეაფასეს საკუთარი დამოკიდებულება, ზოგადად, „მართლწესრიგის ოფიცრის“ ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით - **რამდენად გაამართლებს აღნიშნული ინიციატივა**. გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა პოზიტიური განწყობისაა. ორი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ დადებითი შინაარსის პასუხის კატეგორიებში ფიქსირდება: „დიახ, გაამართლებს“ – 35.4%, „უფრო გაამართლებს, ვიდრე არა“ – 36.8%. მხოლოდ 3 რესპონდენტი აღმოჩნდა, ვინც სკეპტიკურად არის განწყობილი მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შემოღების მიმართ

და მიაჩნია, რომ არ გაამართლებს (იხ. დიაგრამა #37). საინტერესოა, რომ სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებს უფრო პოზიტიური მოლოდინება აღმოაჩნდათ „მართლწესრიგის ოფიცრის“ ინსტიტუტის მიმართ, ვიდრე, ზოგადად, თბილისის მოსახლეობას. როგორც ითქვა, სამიზნე ჯგუფის 35.4% პასუხობს, რომ ამ ინსტიტუტის შემოღება გაამართლებს, მაშინ როდესაც თბილისის მოსახლეობის 22%-ს აქვს ამგვარი განწყობა. როგორც ჩანს, ***მართლწესრიგის ოფიცერთან კონტაქტის გამოცდილება მოქალაქეებში პოზიტიურ კვალს ტოვებს.***

დიაგრამა #37



ამავე კონტექსტის გაგრძელებაა ისიც, თუ რას ფიქრობენ რესპონდენტები **უსაფრთხოების დაცვის მხრივ,** რამდენად ხელშემწყობი შეიძლება იყოს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შემოღება. ამ შემთხვევაშიც, რესპონდენტების მხრიდან უფრო მეტად პოზიტიური დამოკიდებულება გამოვლინდა. გამოკითხულთა 74.2%-მა დადებითი კონოტაციის მქონე პასუხის კატეგორიებს მიანიჭა უპირატესობა, რაც შემდეგნაირად გადანაწილდა: „ძალზე შეუწყობს ხელს“ – 35.2%, „უფრო შეუწყობს ხელს, ვიდრე არა“ – 39% (იხ. დიაგრამა #38). აქაც გამოვლინდა ის ტენდენცია, რომ ***მართლწესრიგის ოფიცრებთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე რესპონდენტებში უფრო ძლიერია პოზიტიური განწყობები, ვიდრე, ზოგადად, თბილისელებში.*** კერძოდ, სამიზნე ჯგუფის 35.2% პასუხობს „ძალზე შეუწყობს ხელს“, მაშინ როდესაც იგივე პოზიცია თბილისელების 23.2%-ს აქვს.

დიაგრამა #38



იმის გათვალისწინებით, რომ მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის მიმართ სამიზნე ჯგუფში უფრო მეტად დადებითი დამოკიდებულება გამოვლინდა, ვიდრე უარყოფითი, საინტერესო იყო იმის შეფასება, ისურვებდნენ თუ არა რესპონდენტები, რომ მათი **ოჯახის წევრი გამხდარიყო მართლწესრიგის ოფიცერი.** კვლევა აჩვენებს, რომ, ამ თვალსაზრისით, რესპონდენტთა პოზიციები გაიყო: ერთი ნაწილი (45.7%) ამ სურვილს გამოხატავს („ვისურვებდი“, „უფრო ვისურვებდი“), ხოლო მეორე ნაწილი (48%) - არა. როგორც ჩანს, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის მიმართ დადებითი დამოკიდებულება და მათი მუშაობის პოზიტიური შეფასება ამ პროფესიაში „შესვლის“ საკმარისი პირობა არ არის (იხ. დიაგრამა #39). საინტერესოა, რომ, ზოგადად, თბილისელების პოზიცია მართლწესრიგის ოფიცრად ოჯახის წევრის გახდომის შესახებ ***პრაქტიკულად არ განსხვავდება*** სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა პოზიციისგან.

დიაგრამა #39



როგორც მოსალოდნელი იყო, სამიზნე ჯგუფის დიდ უმრავლესობას (86.1%) აქვს ***მართლწესრიგის ოფუიცრებთან უშუალო კონტაქტის გამოცდილება.*** რაც შეეხება კონტაქტის ფორმას, რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი, 38%, აღნიშნავს, რომ მართლწესრიგის ოფიცერი მათ საკუთარი ინიციატივით დაუკავშირდა და სახლში/სამეზობლოში ესტუმრა. პროცენტულად მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, ასევე, რესპონდენტის/მისი ოჯახის წევრის მხრიდან მიმართვის (31.5%) და სახლის გარეთ შეხვედრის შემთხვევაშიც (21.4%). გამოვლინდა სხვა ტიპის კონტაქტის ცალკეული შემთხვევები (იხ. დიაგრამა #40):

დიაგრამა #40



ამასთანავე, გაანალიზდა მართლწესრიგის ოფიცრებთან უშუალო კონტაქტის **სიხშირე.** როგორც აღმოჩნდა, ამას სისტემატური სახე არ აქვს და მხოლოდ ცალკეული შემთხვევებით შემოიფარგლება. მონაცემები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტს, 55.2%-ს, მხოლოდ ერთხელ ჰქონია კონტაქტი ოფიცრებთან. 22.7% მიუთითებს მათთან 2-ჯერ კავშირის ფაქტზე, მხოლოდ ერთი გამოკითხული აღნიშნავს, რომ 4-ჯერ ჰქონდა მართლწესრიგის ოფიცრებთან შეხება.

სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებმა უპასუხეს შეკითხვას, თუ **რა საკითხებთან დაკავშირებით** მოხდა მართლწესრიგის ოფიცრებისთვის მიმართვა. რესპონდენტთა უფრო დიდმა ნაწილმა, 23.4%-მა, მიუთითა, რომ გაცნობის მიზნით მოხდა მათი და მართლწესრიგის ოფიცრების კონტაქტი. ასევე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სამეზობლო კონფლიქტის შემთხვევაში - 21.4%. პროცენტული წილით გამორჩეულია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების დაცვისა (19.1%) და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის (13%) საკითხებიც. დანარჩენი დასახელებელი შემთხვევები მაღალი პროცენტული მაჩვენებლით არ გამოირჩევა. ხშირ შემთხვევაში 5%-საც კი ვერ აღწევს (იხ. დიაგრამა #41):

დიაგრამა #41



იმ რესპონდენტებს/მათ ოჯახებს, ვისაც უშუალო კონტაქტი ჰქონდა მართლწესრიგის ოფიცრებთან ამა თუ იმ მიზეზით, შესაძლებლობა მიეცათ, რომ **შეეფასებინათ, თუ რამდენად** კმაყოფილები არიან რესპონდენტები მართლწესრიგის ოფიცრების მუშაობით. აღნიშნული საკითხი შეფასდა 5-ქულიან საკალაზე, რომელზეც 1 აღნიშნავს - „სრულიად უკმაყოფილოს“, ხოლო 5 – „სრულიად კმაყოფილს“. რესპონდენტების უმრავლესობა (62.5%) კმაყოფილებას გამოხატავს ოფიცრების მუშაობით - უმაღლესი მაჩვენებლები სწორედ დადებითი შინაარსის მქონე კატეგორიებში ფიქსირდება: „სრულიად კმაყოფილი“ - 26.9%, „უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო“ - 35.9%. ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლებიც ამასვე ადასტურებს: კმაყოფილების დონის საშუალო მაჩვენებელი (Mean) აღემატება სკალის ნეიტრალურ პოზიციას (ქულა 3) და უტოლდება 3.59-ს (Std. Deviation 1.270) (იხ. დიაგრამა #42):

დიაგრამა #42


რამდენად კმაყოფილი ხართ მართლწესრიგის ოფიცრების მუშაობით? (N=83)
40.0%
35.0%
30.0%
25.0%
20.0%
15.0%
10.0%
5.0%
0.0%
10.5%
9.1%
17.9%
35.6%
26.9%
სრულიად უკმაყოფილო
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი
არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი (თანაბრად)
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო
სრულიად კმაყოფილი

დემოგრაფიული ბლოკი

გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტთა სქესი შემდეგნაირად განაწილდა: 56.1% - ქალი, 43.9% - კაცი (იხ. დიაგრამა #34):

დიაგრამა #34



რესპონდენტთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განაწილება ასეთია (იხ. დიაგრამა #35):

დიაგრამა #35



რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (54%) მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, ამათგან 27% დასრულებული აქვს ბაკალავრიატი, ხოლო 26.5% მაგისტრატურა. 22.9% მიღბული აქვს სრული საშუალო განათლება, ხოლო 14.6% საშუალო ტექნიკური (იხ. დიაგრამა #36).

დიაგრამა #36



გამოკითხულ რესპონდენტთა 55% ქორწინებაში მყოფია, 26% დასაოჯახებელია, 6.4% განქორწინებულია, ან გაშორებული (იხ. დიაგრამა #37).

დიაგრამა #37



გამოკითხულ რესპონდენტთა 28.1% სამუშაო ძალის გარეთაა, ანუ სამუშაოს არამაძიებელია (პენსიონერი, დიასახლისი, სტუდენტი და ა.შ.); დაახლეობით იგივე რაოდენობის რესპონდენტი თავს უმუშევრად მიიჩნევს - 26.4%, ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულია - 26.4%. იმათგან, ვინც აღნიშნა, რომ დასაქმებულია, გამოიკვეთა შემდეგი დასაქმების სფეროები: განათლება -14.4%, დიდი და მცირე ვაჭრობა - დასაქმებულია- 14.1%, ჯანდაცვა და სოციალური სფერო - 8.5%, მშენებლობა - 7.6% (იხ.დიაგრამები ##38–39):

დიაგრამა #38



დიაგრამა #39



რაც შეხება ოჯახების ***ეკონომიკურ სტატუსს:*** კვლევა აჩვენებს, რომ თბილისელთა ოჯახების დაახლოებით 13% სიღარიბეში ცხოვრობს, ან თავს ძლივს აღწევს სიღარიბეს – მათი თვიური შემოსავლები 400 ლარი ან ნაკლებია; თბილისელი ოჯახების ძირითადი ნაწილი (40%) საშუალოზე დაბალი, საშუალო ან საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონეა (401 – 1500 ლარის ფარგლებში); 1500 ლარზე მეტი თვიური შემოსავალი რესპონდენტთა 14%–ის ოჯახებს აქვთ (იხ. დიაგრამა #40):

დიაგრამა #40



გამოკითხულ რესპონდენტთა ოჯახების რომელიმე წევრთაგან მხოლოდ 4% მუშაობს პოლიციაში, შესაბამისად, 96% არ მუშაობს. გამოკითხულ რესპონდენტთაგან 8% არის იძულებით გადაადგილებული პირი; 84.5%–ს არასოდეს მიუღია სახელმწიფო სოციალური დახმარება, 10% კი იღებს შემწეობას სახელმწიფოსგან (იხ.დიაგრამები ##41- 43):

დიაგრამები #41-43







თბილისელების აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია - 90.1%, 5% - სომეხი, ხოლო 1.6% - აზერბაიჯანელი (იხ.დიაგრამა #44).

დიაგრამა #44



რესპონდენტების 85% 11 წელზე მეტია, რაც თბილისში ცხოვრობს, ხოლო 8.6% ბოლო 5-დან 10 წლამდე პერიოდში დასახლდა თბილისში (იხ.დიაგრამა #45):

დიაგრამა #45